2019 წლის 15 მარტი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „ოქტინა-ს" (ს/კ405153177) დირექტორი, ლუიზა სამანიშვილი შემდეგში „მარწმუნებელი" **ირაკლი პარასკევაშვილს** (პ/ნ 01024074200) და **ანი ბოჭორიშვილს** (პ/ნ 01024032260), შემდეგში „რწმუნებული", ამ მინდობილობით ანიჭებს უფლებამოსილებას შემდეგზე:

რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებელი წარმოადგინოს და დაიცვას მისი ინტერესები ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელი იქნება მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების დასაცავად.

რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებელი წარმოადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა საქალაქო სამსახურში და წარადგინოს განცხადება ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე, მათ შორის წარადგინოს განცხადება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #230 (ს/კ 01.72.14.014.263) აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე, მიიღოს მონაწილეობა ყველა სახის ადმინისტრაციულ წარმოებაში.

მინდობილობა ძალაშია მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მის გაუქმებამდე.

ლუიზა სამანიშვილი

ლუიზა სამანიშვილი

დირექტორი

0131, ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია, დ. აღმაშენებლის ხეივანი #230
Tbilisi, 0131, the Territory of Agriculture University, David Agmashenebeli Ave. #230

საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის თხუთმეტ მარტს მე, ნოტარიუს ნინო თოფურიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №179ა, ბინა 15 (პირველი სართული), მომმართა სს „გეფა“-ს წარმომადგენელმა, რომელმაც მთხოვა შპს „ოქტონა“-ს მინდობილობაზე ***ლუიზა სამანიშვილის*** ხელმოწერის დამოწმებისათვის გამოვცხადებულიყავი სს ”გეფა”-ს ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე (ნაკვ. 4/77); ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. 142.

მე გამოვცხადდი ზემოაღნიშნულ მისამართზე, სადაც დამხვდა: *ლუიზა სამანიშვილი* (დაბ. თერჯოლაში 25.06.1951წ. მისამართი: თბილისი გაგარინის ქ. 14/16, კორპ. 1, ბ. 47, პირადი #01024032258).

მან წარმომიდინა შპს „ოქტინა“-ს (ს/კ 405153177) 15/03/2019წ. მინდობილობა ***(ორი ეგზემპლარი, თითო ერთ გვერდზე)*** და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის, ნოტარიატის შესახებ კანონის 38-ე მუხლის “ზ” პუნქტისა და სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-15-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მასთან გასაუბრებით შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ, მას განვუმარტე: სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ მასზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს მხარის უფლებამოსილებას, ასევე დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და, შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე.

ამ განმარტებების შემდეგ, ***ლუიზა სამანიშვილმა*** მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე ხელმოწერა შეასრულა ჩემი – ნოტარიუსის თანდასწრებით.

სანოტარო მომსახურებისათვის გადახდილია საზღაური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ 29.12.2011წ. საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა ***(მინდობილობის ორ ეგზემპლარზე შესრულებული ორი ხელმოწერის დამოწმებისათვის)*** 4 ლარი, 34-ე მუხლისა (ოფის გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედების დადასტურებისათვის) – 20 ლარი და 39-ე მუხლისა “ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის”, დღგ-ს ჩათვლით, 2 (ორი) ლარი. სულ გადახდილია 26 (ოცდაექვსი) ლარი.

ნოტარიუსი: ნ. თოფურია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190278939
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.03.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო თოფურია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 179-ა, ბინა 15 (პირველი სართული)
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2348157
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	91323733728419

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18